სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

რექტორის #100-19 ბრძანებით; 25.08.2019

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:

რექტორის #51-21 ბრძანებით; 06.04.2021

რექტორის #76-23 ბრძანებით; 28.03.2023

რექტორის #88-26 ბრძანებით; 07.07.2026

სტიპენდიების გაცემის წესი

თბილისი

2026

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტის შეფასება სტიპენდიის გაცემის მიზნებით, ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:[1]

1. **საკონკურსო ქულის გამოთვლა**

1.1 <u>**აკადემიური მოსწრება - 65 ქულა**</u>

აღნიშნულ კრიტერიუმში საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების შემთხვევაში ინგლისური ენა იკავებს 65 ქულიდან 35 ქულას, ხოლო დარჩენილი 30 ქულა ეთმობა სხვა სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებს. სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების შემთხვევაში, აღნიშნული 65 ქულა სრულად (100%-ით) გადანაწილდება მათ მიერ შესაბამის სემესტრში გავლილ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებზე.

კრიტერიუმის უმაღლეს ქულად განიხილება უნივერსიტეტში სასწავლო კურსში ყველაზე მაღალი შესაძლო აკადემიური მოსწრება - 100 ქულა. ყველა სტუდენტის ქულა გამოიყვანება ამ ქულასთან მისი ქულის მიმართებით.

მაგ: თუ ბაკალავრიატის სტუდენტს ინგლისურ ენაში აქვს 85 ქულა, სტიპენდიის მიზნებისთვის, 35 ქულიდან მას ექნება 35/100*85=29.75, ხოლო დანარჩენ სასწავლო კურსებში თუ ჯამურად აქვს 80 ქულა (სასწავლო კურსებში მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კურსების რაოდენობაზე 90+80+70+80)/4=80), სტიპენდიის მიზნებისთვის, 30 ქულიდან მას ექნება 30/100*80=24 ქულა, სულ 29.75+24=53.75 ქულა.

თუ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს შესაბამისი სემესტრის სასწავლო კურსებში ჯამურად აქვს 80 ქულა (საშუალო არითმეტიკული პრინციპით), სტიპენდიის მიზნებისთვის, 65 ქულიდან მას ექნება: 65/100*80=52 ქულა.

ბაკალავრიატის სტუდენტი კონკურსში მონაწილეობას იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისური ენის სასწავლო კურსში აქვს დადებითი შეფასება (51 ან მეტი ქულა).
ინგლისური ენის მინიმალურ დონეს ამ კრიტერიუმით შეფასებისათვის შეადგენს A2, ხოლო პირველკურსელების შემთხვევაში - A1.

სტუდენტი, რომელიც მიმდინარე სემესტრში არ გადის სასწავლო კურსს ინგლისურ ენაში, კონკურსში მონაწილეობას იღებს მის მიერ ყველაზე ბოლოს გავლილ ინგლისურენოვან საგანში მიღებული ქულით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ გაუვლია ინგლისურენოვანი საგანი მიმდინარე აკადემიურ საფეხურზე სწავლისას, ის კონკურსში მონაწილეობს მისაღებ გამოცდაზე ინგლისურ ენაში მიღებული ქულით.

1.2 <u>**აქტივობები - 35 ქულა**</u>

---

[1] სადოქტორო სტიპენდიები „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესით“ დადგენილი სტანდარტით.

აქტივობად, სტიპენდიის გაცემის მიზნებისთვის, ითვლება სხვადასხვა ღონისძიების, როგორებიცაა საჯარო ლექცია, კონფერენცია, ტრენინგი, სემინარი, ოლიმპიადა და სხვა დაგეგმვა-ორგანიზება ან მასში მონაწილეობა/დასწრება. ასევე, სტატიის გამოქვეყნება, უნივერსიტეტის PR აქტივობებში მონაწილეობა, სკოლებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაწესებულებებთან კავშირების დამყარება და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობს საბაუნის სტუდენტი.

თუ სტუდენტმა სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობით (კონფერენციები, დასწრებები, პროექტები და ა.შ.) ჯამში დააგროვა 80 ქულა, სტიპენდიის მიზნებისთვის, 35 ქულიდან მისი საბოლოო მაჩვენებელი გამოითვლება შემდეგნაირად: სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულა მრავლდება 35-ზე და იყოფა 100-ზე (80 *35/100 = 28 ქულა).
იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს აქტივობების ჯამით უგროვდება 100 ქულა და მეტი, მას ავტომატურად დაეწერება მაქსიმალური, 35 სასტიპენდიო ქულა.

აქტივობების ერთიან სემესტრულ აღრიცხვას ახორციელებს ფაკულტეტი. მას დახმარებას უწევს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი და სტუდენტურ საქმეთა მენეჯერი.
ფაკულტეტი, შესაბამის აქტივობებში (დასწრება, მონაწილეობა/ორგანიზება) სტუდენტს ანიჭებს ქულებს:

- საჯარო ლექციაზე/სემინარზე/კონფერენციაზე დასწრება - 1 ქულა.
- ტრენინგში მონაწილეობის მიღება - 1.5 ქულა.
- ზაფხულის/ზამთრის სკოლებში მონაწილეობის მიღება - 2 ქულა.
- იმიტირებულ სასამართლო პროცესში/ბიზნესამოცანების გადაჭრაში/მოდელირებებზე მონაწილეობა - უნივერსიტეტის მასშტაბით - 3 ქულა, უნივერსიტეტთაშორისი მასშტაბით - 4 ქულა, საერთაშორისო მასშტაბით ან ინგლისურ/სხვა უცხოურ ენაზე - 10 ქულა.
- სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება/ნაშრომის დაწერა და საჯაროდ წარდგენა მშობლიურ ენაზე - 10 ქულა, ინგლისურ/სხვა უცხოურ ენაზე - 15 ქულა.
- შეჯიბრებებში/ოლიმპიადებში და მსგავსი სახის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება - მშობლიურ ენაზე - 3 ქულა, ინგლისურ/სხვა უცხოურ ენაზე - 5 ქულა.
- უნივერსიტეტის სახელით ადგილობრივ სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიღება - 2 ქულა, საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიღება - 8 ქულა.
- უნივერსიტეტის სახელით მარკეტინგულ და პოპულარიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება - 1 ქულა.

უნივერსიტეტში დასაქმებულ და სტაჟირების მქონე სტუდენტებს არ ეთვლებათ მათ სტრუქტურულ ერთეულში დაგეგმილი/განხორციელებული ღონისძიება აქტივობებში სტიპენდიის მიღების მიზნებისთვის.

აქტივობებში მონაწილეობა აუცილებლად უნდა იყოს სარწმუნოდ დადასტურებული. უნივერსიტეტის შიდა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, როგორც წესი, უნდა დასტურდებოდეს ღონისძიებების დასწრების ფურცლებზე სტუდენტის ხელმოწერით. უნივერსიტეტის გარეთ მიღებულ ნებისმიერ აქტივობაში მონაწილეობის მიღება, როგორც წესი, უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სერტიფიკატით.

1.3. ყველა კრიტერიუმის შეჯამებით მიღებული თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება უფრო მაღალი დონის ინგლისური ენის მცოდნე სტუდენტს.

2. **სტიპენდიის გაცემის მიზანი**

   სტუდენტების სწავლის, ასევე სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობის წახალისების მიზნით, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, გასცემს სტიპენდიებს. სტიპენდიის გაცემა უნივერსიტეტის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

3. **სტიპენდიის სახეები**

   უნივერსიტეტში გაიცემა შემდეგი სახის სტიპენდიები:
   - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდია
   - მიხეილ თამარაშვილის სტიპენდია
   - ფაკულტეტის სტიპენდია
   - სხვა სახის სტიპენდია

4. **სტიპენდიის მიმღები პირები**

   სტიპენდია გაიცემა უნივერსიტეტის სტუდენტზე, რომელიც შეფასების კრიტერიუმებით დააგროვებს მეტ ქულას და შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტების რეიტინგულ სიაში აღმოჩნდება სხვა სტუდენტებთან შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე. სტუდენტი კონკურენციას უწევს იმავე ფაკულტეტის სტუდენტს, რომელზეც შესაბამის სემესტრში იგი ირიცხება.

5. **სტიპენდიის მიღების საფუძვლები**

   სტიპენდიის მიღების მიზნით სემესტრულად რექტორის ბრძანებით ცხადდება სტუდენტების განცხადებების მიღება და კონკურსის პირობები, ვადები, ასევე მინიმალური აკადემიური მოსწრების ზღვარი. მინიმალური აკადემიური მოსწრების ზღვარი დგინდება კონკურსის გამოცხადებისას ფაკულტეტებისა და პროგრამების მიხედვით.

   კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს, რომლის სემესტრული სასწავლო დატვირთვა შეფასების სემესტრში შეადგენს არანაკლებ 26 კრედიტს. სტიპენდიის გაცემის მომენტისთვის, სტუდენტს უნდა ჰქონდეს აქტიური სტატუსი. სტიპენდიის გაცემის მომენტისთვის სტუდენტს უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი. იმ შემთხვევაში, თუ სტიპენდიის მოპოვების უფლების მქონე სტუდენტს დადგენილი წესით შეუჩერდა სტატუსი, მოპოვებული სტიპენდიის გაცემა შეჩერდება და აღდგება სტატუსის ხელახლა გააქტიურების

მომენტიდან, იმ პირობით, თუ სტატუსის შეჩერებიდან აღდგენამდე გასული დრო არ აღემატება 1 კალენდარულ წელს.

6. **რეიტინგული სია**

   რეიტინგული სია დგება დადგენილი კრიტერიუმებით სტუდენტის შეფასებისა და საკონკურსო ქულის გამოყვანით. საკონკურსო ქულა შესაბამის კრიტერიუმებში მიღებული ქულების ჯამია. რეიტინგული სია დგება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სტიპენდიის მიმღებ სტუდენტთა სია ქვეყნდება სტუდენტის სახელისა და გვარის მითითებით.

7. **სასტიპენდიო კვოტა**

   სასტიპენდიო ბიუჯეტიდან და მოძიებული სახსრების ოდენობიდან გამომდინარე, სტიპენდიის მიმღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ყოველსემესტრულად თითოეული ფაკულტეტის მიხედვით. მიმდინარე სემესტრში გასაცემი სტიპენდიების რაოდენობა შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები გასულ სემესტრში გაცემული სტიპენდიების რაოდენობაზე.

8. **სტიპენდიის გაცემის ვადები**

   გასული სემესტრის შედეგების მიხედვით, სტიპენდია გაიცემა მომდევნო სემესტრში 5 თანაბარი გადახდით. დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტს, სტიპენდიის მოპოვების შემთხვევაში, სტიპენდია ეძლევა ერთიანად.

9. **სტიპენდიის გაცემის შეზღუდვა**

   9.1 უნივერსიტეტს უფლება აქვს არ გასცეს სტიპენდია თუ სტუდენტს არ აქვს გავლილი სრულად ადმინისტრაციული რეგისტრაცია ან/და ერიცხება დავალიანება აღნიშნული რეგისტრაციის დადგენილი წესით გავლამდე ან/და დავალიანების დაფარვამდე. ასევე, უნივერსიტეტი უფლებამოსილია არ გასცეს სტიპენდია სტუდენტზე, რომელსაც დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა სტუდენტთა მოქმედი კოდექსის ან სხვა აქტებით დადგენილი მოთხოვნათა დარღვევის გამო.

   9.2 სტუდენტს, რომელმაც ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარა მესამე პირების მხრიდან დაფინანსების შესაძლო მოპოვების პირობით, სტიპენდიის მიღების უფლების მოპოვების შემთხვევაში, სტიპენდია შეიძლება მიეცეს დაფინანსების საკითხის დადასტურებული გადაწყვეტის შემდეგ/სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ.